# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება № 01-05-04/60

ქ. თბილისი                                                                 9 მარტი 2018

**სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან არსებული „ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების ტექნოლოგიის ინსტიტუტისათვის“ უფროსი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეულის გამოყოფის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის „ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების ტექნოლოგიის ინსტიტუტის“ დირექტორის, პროფ. ზვიად კოვზირიძის მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №3 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან არსებულ „ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების ტექნოლოგიის ინსტიტუტს“ გამოეყოს უფროსი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული (თვიური ხელფასი 500 ლარი) 2018 წლის მარტიდან;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული საკითხი;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს პროფ. ზ. კოვზირიძე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**